

მეზობლების მოლოცვა

№

60

1921 წ.

თებერვლის 13



**რუსეთი.** გულწრფელად გილოცავ დამოუკიდებლობის წინაშე. ნიშნად იმის, რომ საბჭოთა რუსეთი თავ-  
დაღობით იცავს მცირე ერთა ემანსიპაციას, მომართმევს ეს მცირე სახეჯარი. დასხურე და ატარე სადღეგრესელთ.  
**ოსმალეთი.** ძვირფასო მეზობელო! მომილოცავს შენი დამოუკიდებლობის აღიარება... ოსმალეთი მუდამ  
ამის მონატრულა იყო, რომ თავის გვერდით თავისუფალი საქართველო ენახა... იმ შემთხვევაში, თუ ვანკობაა  
რუსეთისგან მართამეული სახეჯარი ან გამოდგეს, გახვით მოახმართო ეს ჩემი ფეშქაში.

# ქ ა თ ა მ ი

იმ დროს, როცა ის შავი დედალი ბუღდან გადმოფრინდა და საშინელი კაკანი ზორთო, მე ერთ-ერთ ჩემს მშვენიერ ფელეტონთაგანს ვწერდი.

წერვები ერთობ დაზიანებული მაქვს; ვეღარ გავუძლე გულის დამაღონებელ კაკანს, აივანზე გამოვარდი; შევეუქმე და ქათამი ბაღში გადავაფრინე.

ვერ მოვასწარ ოთახში შემობრუნება და კალმის ხელში აღება, რომ გათავებულ დედალი მოაჯირს შემოაფრინდა და ძველის ვენტრგით განაგრძო:

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა-კა...

სისხლი ყელში მომადგა. ვიცი, ერთი კვერცხი მოაგდო და იმისთვის გაუდის ეს დაუსრულებელი კაკანი, მაგრამ მე რას შერჩის, წავიდეს ბაღში რამდენიც უნდა იკაქანოს. ამას ახლა ვწერ ასე დამშვიდებულთა, თორემ მაშინ შმაგივით გამოვიქვერ აივანზე, მუშტი მოკუქნიე და ბედი მისი რომ ეზოში გადაფრენა მოასწრო. ეზოში კი გაასკეტებული ვენტრგით გადიკასკასა:

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა-კა...

— დასწყევლოს ღმერთმა! ამ ოხერმა რაღა მაინცა და მაინც ეს ჩვენი რედაქციის აივანი ამოირჩია.

ჩემი გულისწყრომის საპასუხოდ შავმა დედალმა კვლავ გულთანად გადიკასკასა.

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა-კა!..

— თითქო დამცინის ვე ვერანა!

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა! ვითომ და რატომაც არაა?!.

მე გაეშეშედი! ენა ჩამვიარდა! ღმერთო მაღალლო! ქათამი ლაპარაკობს! ვის მოსწრია, სად გაგონილა თქვენი ქირიმეთ!

— კა-კა-კა-კა-კა! ვითომ რატომ არ უნდა ვლაპარაკობდეთ, რატომ? კა-კა-კა-კა-კა!

— ქათმის ლაპარაკი, სანაძლას დავდებ, ჯერ არავის გაუგონია. ქათმებზე კი ბევრს ლაპარაკობენ... წარმოიდგინე, დამუქმებელ კრებაშია ფედერალისტების ლიდერმა და ცნობილიმა საზოგადო მოღვაწემ, გრიგოლ რქვილაძემ, მთელი საათი ილაპარაკა ერთ ქათამზე.. მაგრამ ქათამი რომ ლაპარაკობდეს, პირველი შემთხვევაა!

— შეიძლება თქვენი პირველი იყოს, მაგრამ თუ ჩემს ამხანაგებს ჰკითხავ, პირველი არ იქნება. ჩვენ მთელი დღე ვლაპარაკობთ და ვმუსიფობთ ერთმანეთში.

— დიხ, დიხ!

ჩაერთა ლაპარაკში თეთრა დედალი, რომელიც ამდენხანს ხმა არ იღებდა.

— მერმე რისთვის ამდრომდე არ ლაპარაკობდი?

— ვისთან?

— აი ჩვენთან. მე მთელი დღე აქ ვზივარ რედაქციაში...

— კა-კა-კა-კა... გადიკასკასა შავმა დედალმა. ისეთის ხალისით, რომ მისი სიცილის გულწრფელობაში ექვის შეტანა შეუძლებელი იყო.

— რა ამბავია, რატომ კისკასობთ ასე გულიანათ? შევეციოხე მე ცოტა შეურაცხყოფილი კილოთი.

— ვის უნდა ველაპარაკოთ? თქვენ??? კა-კა-კა-კა-კა-კა!

— დიხ ჩვენ. ვითომ რაო? იქნებ არ კადრულობთ ჩვენთან მუსაიდს?!

— კა-კა-კა-კა-კა-კა!.. გადიკასკასა თეთრმა დედალმა გულიანათ.— ახირებული თამოყვარე ხალხი კი ხართ ეს რედაქტორები.

— როგორ-თუ? რას ამბობ, ქათამო?

— კა-კა-კა-კა-კა... აი ახლაც უკვე აღელდით! ნუთუ ამდენ ხანს ვერ გაიგეთ, ბატონებო, რომ ჩვენი სწორები არა ხართ და ჩვენთან თავს ვერ მოხვალთ. რა მოხელენი ბრძანდებით? ჰქმნით რასმე ამ კრიზისის დროს?

— დიხაც ვქმნით. წერილებსა ვწერთ... ლექსებსა ვთხზავთ... ჟურნალსა ვცემთ...

— კა-კა-კა-კა-კა-კა!.. გადბრუნდა სიცილით შავი დედალი!— ერთი ამას დამიხედე, დაო, ლექსებსა ვწერთ, ჟურნალსა ვცემთო... გესმის, დაო, გესმის?!— კა-კა-კა-კა-კა...

— ნუ გაუმტყუნებ ჩემო, უპასუხა თეთრმა დედალმა— შეუგნებელია, რავეუყო... და განაგრძო:

— რა ღირს თქვენი ჟურნალი?

— ათი თუმანი.— დიდის რიხით და თავმომწონებით მივუგე მე.

— რამდენი კაცი მუშაობთ ზედ?

— ექვსი.

— რამდენი ხანი უნდებით?

— ექვსი დღე.

— კა-კა-კა-კა-კა... ჩაიკაკანა შავმა დედალმა და მედიდურათ გადმოხედა. შემდეგ განაგრძო:

— დროა, ჩემო კარგო, მაგ მედიდურობას თავი დაანებო. ექვსი კაცი ექვს დღეს მუშაობთ და ახი მანეთის საფასურს ძლივ-ძლიოხთ აკეთებთ. ჩვენ ორნი, მე და ეს ჩემი მეგობარი, ჩვეულებით ბუღეში და ხუთმეტი წუთის შემდეგ ათი თუმნის საღირაღს გავამზადებთ. ორი კვერცხი და თქვენი ჟურნალი თანაბარი ღირს.

ჩემი თამოყვარეობა პირდაპირ განადგურდა. სახე გამოიღურჯდა, მუხლებმა კანკალი დამიწყო, თვალები ავთენენ. „ნუთუ მე, თავუნა, შექანჯალვებული, დონი, სლუჩანინი, ნადარი და სხვ. კვირეში ორი ქათმის ბადაღს ვერ ვმუშაობთ? ფეიქრობდი გუნებაში და ის იყო ქათმებისთვის ხელი უნდა მეტაცა მოსაკლავად, რომ ეზოში სამსონ

ბრყვამე შემოვიდა. მომიხლოვდა, ხელი ჩამო-  
მართვა და მკითხა:

— რა ღმერთი გიწყობებათ კაცო ამ ჟურნალს  
რომ ასე საარაკოთ აძვირებთ?

ფილა მოთმინებისა და შეურაცხყოფისა გაიე-  
სო. მოულოდნელათ და მძლავრათ მოქნეული ჩე-  
მი მუშტი შიგ მარცხენა თვალის ბუდეში მოხვდა  
თავხედ სტუმარს...

... და გამომეღვიძა.

გშმაკი

წერილი სატრფო-სიან

ჩემო მაცოცხლებლო და ჩემო მკვლევო!  
შენმა უკანასკნელმა წერილმა, ცოტა არ  
იყოს, დამაღონა:

ქალო, საღაური მილიონების პატრონი მე  
მნახე, რომ იწყრები, — ფეხსაცმელების ქუსლები  
გამიცვთა და დაიკერებინო.

რამდენჯერ უნდა ვაგიმეორო, რომ ჩემს სა-  
ტრფოს ნება არა აქვს ფეხსაცმელების გაცვეთისა.

ჩვენს დროში ფეხსაცმელებს მხოლოდ მი-  
ლიონრები სცვეთენ. შენ კი, ჩემო გვრიტო,  
გირჩევ, ჩემს მაგალითს მიჰბაძო და ეხლავე შეუდ-  
გე დაუცხრომელ ვარჯიშობას, რათა ორ-სამ თვე-  
ში ისე გაიწყრთა, რომ თავისუფლად შეგეძლოს  
ხელებზე სიარული, ფეხ აშვერით, თორემ სად  
ჩვენ და სად ფეხსაცმელების შესაკეთებელი კაპი-  
ტალი

მე, ჩემდა თავად, საკმაოდ თვალსაჩინო შე-  
დეგს ვივალწიე ამ მხრივ: სწორ ადგილზე სრუ-  
ლიად თავისუფლად დავდივარ ხოლმე ხელებით,  
ეს კია, კბეზე ასვლა-ჩამოსვლა მიჭირს ჯერ-ჯე-  
რობით...

ეს არ ს ერთად-ერთი საშუალება ფეხსაცმე-  
ლების კრიზისის თავიდან ასაცლებლად, და მე  
იმედი მაქვს, — შენ რომ ჭკვიანი და გამგონე  
მყევხარ, — ეხლავე შეუდგები ჩემი დარიგების ას-  
რულებას...

ეს — ფეხსაცმელების შესახებ.

კიდევ უფრო დამაღონა შენი წერილის იმ  
ადგილმა, სადაც კაბის შესახებ იწყრები.

მაგრამ რა უნდა ვისაყვედურო შენ, ჩემო  
იმ წლის ნუკრო, როდესაც ჩემი მეგობარი და  
შენი კარგი ნაცნობი, იმ წლის შალიკო უბონო-  
შვილი, არა ნაკლებ ფუჭსაგალობას იჩენს ამ სა-  
კითხში.

არ ვიცი, ღმერთმანი, რა სახელი ვეწოდო  
მას: რომანტიკოსი, იდეალისტი, უტოპისტი თუ  
რა?..

წარმოიდგინე, ამ გაუსწორებელ მეოცნებე

ვასე შეურყევლად სწამს, რომ, ადრე იქნება თუ  
გვიან, ახალ პერანგის ამხანავს შეაკერინებს.

რამდენი ვეიჩინე, რამდენი ველაპარაკე:

ბიკო, დაანებე თავი მაგ უქმსა და მივინე-  
ბელ ილუზიებს: რა შენი საქმეა, ამ-სიმსხო საქმე-  
ებისთვის ფიჭვი და ოცნება! ხოშტარია ხომ არა  
ხარ, ასეთი უცნაური გეგმის ასრულება შეიძლო  
ერთბაშათ! ამხანავო, დაგლუბავს პერანგის ამხა-  
ნავი მეოქი!

არ იქმნა და არა: ვერ მოვაშლევინე! და მე-  
რე, არ იტყვი რა ყოფაშია დღეს ჩვენი შალიკო?  
ეხლავე მოგახსენებ:

ათი თვე შესრულდა, რაც ამ გეგმის განხორ-  
ციელებას შეუდგა და ამ ათი თვის განმავლობა-  
ში თითო თვეში თავისი ჯამაგირის 10<sup>0</sup>/10-ს სდებს  
მუდამ ყოვლად სინდისიერათ.

მაგრამ რამდენი თვე გადის, პერანგის ამხა-  
ნავის ფასი იმდენ 10<sup>0</sup>/10-ს მატულობს.

შენ, ჩემო ცუდლუტო თრითინა, ჰუმორის  
გრძნობა არ გაკლია და უჩემოდაც კარგათ წარ-  
მოიდგენ იმ ყოვლად სასაცილოსა და უიმედო  
დოღს, რომელიც შალიკოს გაუმართავს პერანგის  
ამხანავთან:

მილაჯებს პერანგის ამხანავი თავს ას პრო-  
ცენტთან ტოტეტს და უკან მიჩანჩალებს ჩვენს  
შალიკო თავისი ათ პროცენტთან ყავარჯენით!

აი მაგალითი შენთვის, ჩემო კარგო! მაგალი-  
თი, რომელსაც არ უნდა მიჰბაძო და ეხლავე ჩაი-  
კლა შენს პაწია ტვინუკაში ტანისამოსის თუ სა-  
ცვლებისთვის უნიადავო ოცნებობა!

მილოს ვენერა შენზე უშნო ქალი არ ყო-  
ფილა, მაგრამ აბა როდის იცვამდა კაბა-კუბებს?

შენც, გირჩევნია. შალიკო უბონოშვილის მა-  
გალითს გვერდი აუქციო და ვენერას ორიენტა-  
ცია დაიჭირო.

მით უმეტეს, რომ, როგორც მე მახსოვს,  
შენ ტანის გამომეტყველება (განსაკუთრებით ზურ-  
ვის ზოგი ადგილების) ბევრათ უფრო ექსპრე-  
სიული გაქვს, ვიდრე სახისა!

შენი სოსო.

დეჯანთან სწოთყა

თავუნა.





### მკვლარსაც კი ვაეცინება.

დამუყმნებელი კრებისა მოხდა ეს კულუარებში...  
სადა იზრხვების ქართველი სიტყვებთა ნიღვარებში,  
სსვანთა და სსვანთა ზარტიათ და ფრეჯციანთა ჯარემში  
ლიღვრთ და მოლიღვროთა აღძიანთა გვარებში.

ოღეს მსე თავისუფლების სძმობლოს მიებრწყენებ,  
მოურაგ—ზროფესორისა უფალძნ ოძი იხებ.

ერთმანეთს შემოუტიეს... ვნახათ ვინ დაეწინება!..  
ბენიამ მუშტი ვასტეორცნა, შალვამ კი... დედის გინება.

კაცია,—სიტყვას ზატივდებს! კაცია,—ისვრის ქარდა!

კაცია,—დინჯათ ბანსობს! კაცია,—როშაფხ ჩქარდა.

კაცია,—სსვანთა ვაკილვა უნნს ვითა სძმუქარდა,

კაცია,—ცილი დაეწნას, გულს ეტების ვასხანარდა.

აწ ზროფესორი ვით ვაქო, სიტყვისა ქარდა მოესვა.

ჭოროთა და ცილთა ტრიბუნით სელვაძლით ვადმოძვესავი,

ბრძნათ ამაგვარი ვერა ვსცნა, მე ვერა კაცო ნათესავი.

თუცადა გული შერკინა, მუნძცა ვისილე მკენესავი.

და ოღეს მუშტი შუსტეორცნა მას ქალაქისა თავამან,

ლანძვარ უშვერი დაიწყო, ვეშა აწმცა ვათავა მან...

შეისგე შეჭვანა ლაშქარსი, მან მხეთა უნახავამან,

ვერ დააწინაროს შმაგები, ვერცა ზაძიორისა ჭავამან.

დაჭერეს ბუეი და ნაღანა, ვარი სიდა სტუდენტებისა,

„ზერეფორიტი“ მოუნდათ, ბენიის სამთავდებისა,

ლაშქარს უსმობენ „კულტურულს“ (მაძა ნუ წამიწუდებისა)

ვინა სწერეტს, ქუხად მავალი, ვოვლი სიცილით წედებისა.

—„ძირს ბენიო!“ ჭვივიან ფედერალისტოთა გძირები...

საღეს დაეგებ შრავალი ეივილით ვანაკვირები,

მილიციელნი არ სხანან მათ წინა ანახირები.

—დო ვაიროს, ამა გსით კვლამც ვლიან სსვა სანირები...

აქა მშვიდობა! იმა დღეს ვნახეთ მუნ სასწაულები.

და გვედრი ვოვლთა მკითხველთა ირწმუნოთ აქა თქმულები,

მისთა მოწამეს ჭვრეტისა ვადუბრუნდათ გულები,

მჯილთა იცემდგენ მკერდშიგან კროთმიღნი, დადაგულები.



მკვდარი მოჭკინდათ იმა დროს კუბოში ჩანასვენები,  
 კაცთავე მხარზე უხიდათ, შიგან არ ებათ ცხენები.  
 მწარე მოთქმითა სტიროდენ იმისთა ღვაწლთა მსხენები,  
 ჰირსა ისოკდენ რა გვარად, ვერა გამოსთქვამს ენები.



ეოვილმან იმა ლაშქართა მკვდარსა აღუსუნა სმინება,  
 თებანი ახილნა, კვლამცადა შე წამოჯდომა ინება,  
 სჭერეტს ამა სასაცილოთა და მსცა გაცინება,  
 იცინის, ვიდრე სიცილით კვლად არ მიეძინება.  
 ვინ მკვდარს აცინებს, მოძმენო, ამა დარ სანახაობიო.  
 კვლავ იამაუებს მამული იმა მოზარდი საობით.  
 ფედერალისტი მად თქმულა გონივრულ აზრთა ზღვაობით,  
 არწივი ვითმცა ედაროს, უვავი იცნობის ევაობით.

### მეფე გვასანი

რგანელსა და სავანელს  
გუშინ გალაქტიონი  
მეფეთ აურჩევით, —  
გვანტუბინებს ლიონი.

სად მომხდარა ეს საქმე,  
რომელ კუთხე-მხარეში, —  
ამას, აღბათ, გვაცნობებს  
ლონდონი, ან პარიჯი.

ქუჩებზე კი ამბობენ:  
„ეს მარანა იცისო,  
სად ხელადის მიჯნური  
სიყვარულით იწვისო.“

მაგრამ „ბარბის“ ფურცლებზე  
სულ სხვა გვარათ სწერია,  
და მე ვფიქრობ, ეს ცნობა  
უფრო დასაჯერია.

ან კი რა საჭიროა  
მეტი კომენტარია:  
საქართველო პარიზზე  
განა უფრო მდარეა?

ჰოდა, იმას თუ კი ჰყავს  
თვისი მეფე გვასანი, —  
დე ჩვენც გვყავდეს ამიერ  
ერთი გვირგვინოსანი!

ხუმარა

*(ვ. იაყობიძე)*

### 27 საათი.

ნაფეთქებელი ბათუმის სსხ. გვ. შტაბის ცხოვრებიდან

სწორეთ შუალამის 12 საათი იქნებოდა, რო-  
ცა ტელეფონის რეკა მომესმა. წამოვხტი ზეზე  
ახლათ დაძინებული და ველი ღოროტოტოს.

— რა ამბავია, ბატონო, ცეცხლი ხომ არ  
გაჩენილა, დაურეკეთ ცეცხლის მქრობელ რაზმს.

— ცეცხლი კი არა, რედაქცია მინდა.

— კი, ბატონო, რედაქცია ვახლავთ. რაშია  
საქმე?

— სახლხო გვარდის შტაბიდან გელაპარა-  
კებით. მე კუნჭულია ვარ, დათიკო. მობძანდით  
საჩქაროთ და განცხადების ფასი წაიდეთ.

ოცა არ იყოს გამოვირდა კიდევ: კაცო,  
ამ შუალამეში რას აკეთებს ეს კაცი შტაბში? თუ  
ეძინა, დაებოდა და ძილში დაძინებოდა... კი, მაგრამ  
დათიკო შტაბში რომ არ ცხოვრობს?! უ! ნამდვი-  
ლათ გიორგი ამაღლობელია ამაღამ მორიგე და  
ის ყალბაბანდობს — ვფიქრე. მაგრამ გოგამ რა

ცის მე განცხადების ფული თუ შერგება შტაბი-  
დან, ვა! რაც იქნება იქნება. წავალ და გავიგებ  
რაშია საქმე.

ჩავიცვი პალტო და გავსწიე შტაბში.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირება!

არა თუ მარტო დათიკო კუნჭულია, ვიკ-  
ქელია, ამბროსი ღუმბაძე, ის. ქავკანიძე, მშვენი-  
ერი ვენერა, ერთი სიტყვით ყველა მოსამსახურე-  
ნი სხედან სტოლებთან და ისეთი დაქინებით მუ-  
შაობენ, რომ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეები,  
რომ ისე გულდასმით მუშაობდნენ, ამდენხანს ქა-  
ლაქში სოციალიზმი დამყარდებოდა.

— კაცო, რამდენ საათს მუშაობთ?

— 27, ძმაო 27 საათს! — ისეთი ტრადიციული  
ხმით მითხრა ისაკი ქავკანიძემ, რომ შევშინდი და  
ოცა უკან დავიხიე. რა ვიცი 24 საათი ქალა-  
დებს სწერს და კითხულობს, თავი მომბერებულ  
აქვს. მოდი ჩემზე ამოიყარა მთელი ჯავრი. შევე-  
დი ისევ დათ. კუნჭულიასთან, ავიღე ფული და  
წასვლას ვაპირებდი, რომ წინ ექიმს არ შევეფე-  
თებოდი.

— იმე! ექიმს რაღა უნდა აქ?

— ექიმი, ძმაო, აუცილებელია. როცა რო-  
მელიმე მოსამსახურეს მეტი მუშაობისაგან გული  
შეუწუხდება — მოაბრუნებს.

ექიმი კი მეტათ ვაჯავრებული რკინის გზაზე  
მომხიარ უთანხმოებით უთვალთვალვდა: აბა რო-  
მელი დაანებებს თავს მუშაობასო. როგორც ვინ-  
მე თავს ასწევდა, გამოიყვანდა შუაში და დაუ-  
წყებდა თავის ისტორიას:

— მე იმაზე მომდის გული, რომ ბილეთი არ  
მომცა. უნდა ორმაგი ფასი გადავხვეინებო. უ-  
თუოდ პასუხი უნდა მოვთხოვეო. გვარი მითხრეს  
კი: გოგია, თბილისის მატარებელზე რევიზორათ.  
არა, რომ გაიგო გვარდიის ექიმიო, მერე მოი-  
კაჯვო. მაშ უბრალო მოქალაქე უნდა დაახრჩონ  
არა?

მსხვერპლი უსმენდა, უსმენდა ექიმს და, შეა-  
ტყობდა რა, რომ დღეს აღარ ვაათავებს საუბარ-  
სო — გაეპარებოდა მაგიდისკენ.

მე კი ვუტყერდი ამ გმირულ, თავგანწირულ  
მუშაობას და გულში ვამბობდი:


... ვაშა, ვაშა, ბიჭებო!

— 27 საათს, ძმაო, 27 საათს ემუშაობთ —  
წამოიძახე ისევ ისაკიმ.

— ნამუშევარი კი არსად სჩანს და ჩუმთ ჩაი-  
ლაპარაკა ერთმა გვარდმელმა.

— აბა ეს რა არისო, მიყვირა ისაკიმ და  
მთელი გროვა ქალაქდები თავზე გადააყარა.


გრ. სლუჩანინი.



# Քրաքսղ լանջողի արածիս օնտուրն.

«Отъ имени армянской коммунистической партіи выступилъ Вартановъ, въ ярнхъ краскахъ обрисовавшій историческое прошлое Арменіи, вѣчно угнетенной. Выступившій послѣдннхъ М. С. Кировъ между прочимъ сказалъ: «Ня англійскіе медикаменты, ня американскій хлѣбъ не могли спасти гибнущую Арменію, которая только теперь, войдя въ честную семью III Интернаціонала, стала на правнльный путь и нашла выходъ».

Изъ бюллет. Бюро печати при Политком. Предет. Р. С. Ф. С. Р. въ Грузіи.



Գինգ անսիս սեհիծեզ տատար, թգրամ...



Պոցեզ ռուս, մաժտորն տատարա զա լանջողնս անսիսն Պոտեղգա սյուզա.




რუსი და თათარი წაივადნენ; არაში მათ შუაში მოჭეუა და კინადამ გაიტკლიტა.




მრავალ ტანჯულ არაში დაეხმარა ამერეკა წამლებით და თეთრი ზურთი, სიშორის დაჭული გზების გამო უიღონო იმულებული განდა ბოლოს საფთაური დახმარება მორალურათ შეეცადა.






მრავალ ტანულს მშიერ-მწკურვალს აწამს, რგორც იყო, მიაგნა მეუღრო თავმჯდომარის და სიბუთას სსსელ-  
მწიფობის ტკბილ თაგანში შევიდა. აქ მის სუფსთვითი გ.მლილი სუფრა დაეხვდა.



ანამც მიუვდა სუფრას. ძლიერ თავისუფლად ამოიხრთქა. ვნახით, - უცებ, ნარვომ სიგნარხოზავიხის, ტკბილი  
მუსაფის დროს მეორე გვერდით შუღლამს ზატარა ცელქს ქემალმა გვერდში ბეუთი უხსვლიტა. არამშა ერთი სსსინ-  
ლად დაიფეირა, მაგრამ, მასწინძელს რომ არ სწეხნდა, თავს ძლა დაატანს და ზრდილობისთვის გალიმა კადეტ.  
სადილი რომ გააფდა, არამშა ბეუთი გვერდიდან ამოიძრო, მაგრამ იმდენი სისხლი დაჭკარტოდა, რომ, ვედარ  
აიტანს და სულა განუტოვა.



ტელქმა ბავშვიკმა საზრდაო არამის კვამი ერთი სიხარულით, სტუნათით და დრიალით მასღაპელ დელქმა გადაათრეს.

### შექანვალეზულის ლექსები

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. მომწყინდა კენესა,  
მომწყინდა ვიში, ვაი და გენეშა,  
ისე მომწყურდა სიცილ-ხარხარი,  
როგორც ჩემს ბუხარს, საცოდავს შეშა.

ხა, ხა, ხა, ხა, ხა... მოკვდა იმედი...  
ბერძელ ზამთარმა კვლავ გვინახულა,  
გადაათეთრა შთა, ტყე და ველი,  
ეზო, სახლები, ბედელი, სულა.

სტირს ქალაქელი... ხარობს სოფლელი  
და მოაგორებს ურემზე ურემს —  
— ჰამოოო! ხოშვლი... დრავა და დრავა.  
ეეჰ... ვიყიდლე, მაინც გუდუღრებს...

ისევ ზამთარი... კატას არ ძალუძს  
მაშვრალთ ქობხაში გაითბოს თათი.  
მხოლოდ უშრომელთ ფართო ბინებში  
ისევ განცხრომა და მასლაათი.

იესო ქრისტემ რა ტყუილი სთქვა,  
— „ყველა პოეზო, ვინც კი ეძიებს,“  
ბევრმაც იპოვა... იპოვა იმან,  
ვინც რომ ეწევა კომბინაციებს.

ბევრს, ვის იღვა შორს ეხატოდა,  
ნახა, რომ აგერ, — დღეს მიადწია. —  
დაითრო უცებ, თავბრუ დაესხა  
იმ-შორ იდეალს გადაარწვია.

რა დრო დაგვიდგა?! ბევრმა ჭინკრაქამ  
ცოლად შეირთო დღეს შევარდენი,  
მგელი ცხერებს უფლის, და ბოსტანს ღორი,  
კამეჩი ფრინავს, ვირს ყმად ყავს ცხენი.

მე თუ მაკლია, ძმობილო ქკუა,  
მასესხე ცოტა, შენ კი გექნება,  
კანონი ეძებს თვის შემსრულებლებს,  
მოვალეობის მოკვდა შეგნება.

ვცოცლოჩინობ და თანაც ვფაფხურობ,  
ეხლა სულ სხვა ვარ, თავს არ გიყადრებ,  
თუ რომა ვიცი „ჩაევიმასქნი“  
რას არ ჩავიდენ, რას არ ვიყადრებ.

თუ მაყვედრი დეწლს, ჩაგითელი ვით ანწლს,  
ღირსს სხვაც გადიდებს, ნუ აჩქარდები,  
გმირმა ეჰხ, სად სთქვა: მოლით, მომართვით,  
დაფნის გვინი, ია, ვარდები.

კუქის ტკივილი... მაგიდის მქალი,  
ოცნება პურზე... ჯამაგირებზე...  
პირის გატეხა... კვლავ დაპირება,  
ისევ უარი დანაპირებზე.

ვილაკამ მითხრა: „შენმა ბიქმაო“,  
მძლედ ჩაარტყაო თხას იმან ათი,  
მეზორცემ გუშინ გირევაქა ხორცზე  
ეჰხ, ამადრო ოთხასი მანათი.



დამეყქ. კრებას წერი, ქალაქის მოურავი, შირვედხარისსოფანი ზოქსური სენია ჩხაკვიშიდი,  
ვისცე ქსურს სამეცნაერო კარერის განარხვა და სტუდენტობაშა ზოხუღაარობის მოპოება, შეუქლია მაჭმართას  
ბ. ბენას.

ლაცობ-მასხრობა სადაც არ უნდა...  
„მეგრული თხა“ და თუნდაც „ჯიბგირი“  
თავისუფლება ეს არის სიტყვის,  
ყველაფერს იტყვის უკლიტო პირი:

გასამართლება უსასამართლოდ,—  
უხმლო დუელი... ვარ შეუვალი...  
პაერში მუშტი ვაიპრიილებს,  
დაზიანდება უეცრად თვალი.

აურ-ზაური, ლანძღვა, გინება,  
გამტყუნება და თავის მართლება,  
დემონსტრაცია... მიდის ფრაქცია,  
სიტყვის და საქმის თავისუფლება.


ისევ სიცივე... ისევ ზიმშილი...  
ისევ თოვლი და ისევ ზამთარი...  
ვის ქკუის გოგრა დაუზიანდა,  
ვის აერა სულმოლად დავთარი...

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. თლად გამიტაცა  
აზრთა არევამ—ქკუის ჯირითმა...  
ახლა კი შევწყვეტ, სჯობია დროზე...  
გამეფიცება, ვით ვატყობ რიში...

აურ-ზაური... ტაში, დაირი...  
ამბები უცხო ნაირ-ნაირი...  
და სხვისი კირი ღობესა ჩხირი...  
ისევ დავღონდი,— ისევა ვტირი.

შეჩანჯალებული.

გვერთიანებული რეაქცია.



იოსებ მაჭავარიანი და შალვა ქარუმძი.

გუშინ შადგამ იოსებს უნდა ზურგი შექცია,  
 დღეს კი ხელახლა შეერთდა საქართველოს რეაქცია.  
 მსურთ ასწიონ დაცემული ნრესტაჟი, მდარე აქცია.  
 ხალხი ავლავ ცივ წყალს შექცევს, როგორც წინაა შექცია.

### ს თ რ ც ი.

#### საბოტაჟი.

ასე გაჯავრებული არასდროს არ მინახავს ბათუმის ქალაქის თავი. პირიდან ცეცხლს ყრიდა. ნინოაბაზედაც ძალიან გაჯავრდა, როცა მხატვარ თოდის შვილი გალახეს, მაგრამ დღეს რალაც არაჩვეულებრივი სანახავი იყო. მასთან წამ-და-უწყუმ შემოდოდენ მოსამსახურეები მოსახსენებლათ. მაგრამ მათი დალაგებული, საქმის ცოდნით გაქ-დენთლი მოხსენებები უარეს გავლენას ახდენდა მოურავზე.

მე ცნობის მოყვარეობამ შემიპყრო. შევძვე-რი ქალაქის თავის კაბინეტში და მის საეარძელს უკან დავიმალე. მიგადაზე ახლათ შემუშავებული ნიხრი იღვა.

— გირვანქა ხორცი 100 მან. უჯდებათ, მე კი ნიხრში 150 მან. ჩაეუწვრე. — ცხარობდა ჩვენი თავი—საბოტაჟი გამომიცხადეს, სრულიად მიანე-ბეს ვაქრობს თავი. გააკარით ესლაგე ეს ნიხრი— უბრძანა შემოსულ მოსამსახურეს. ვინც გაბედავს ნიხრის გამოშვების გამო ხორცს არ მოიტანს ჩა-მოერთვას ვაქრობის უფლება.

ამ ბრძანების შემდეგ ქალაქის თავი დამშვიდ-და. ეტყობოდა უკანასკნელი ზომა თვითონ მოე-ყვანა. თავისებურ მომზიბლველ ღიმილით გამო-ვიდა კაბინეტიდან და გაეშურა ამხ. კაბ. გოგო-ლაძისსაკენ.

#### დამშალი ხორცი.

მეორე დღეს ყველა საყასბოები ღია იყო. მაგრამ ყასბები მოხერხებული ხალხი აღმოჩნდა. დაკიდეს დუქანში თითო ნაჭერი დამშალი ხორცი. მოქალაქე ყიდვას კი არა ახლო მისვლასაც ვერ ბედავდა. საშეგეროთ შეისყიდეს რაც ფრინვე-ლოულობა შემოვიდა მაზრაში და შემდეგ ერთი ათად ყიდდენ.

#### წვენი უხორცოთ.

ამის შემდეგი მეორე დღეს გამოირკვა. რეს-ტორან-სასადლოების კარებზე ეწერა: „ხორცის გაძვირების გამო დღეს წვენი უხორცოთ“.

— თუ წვენისთვის ვერ იშოვეთ ხორცი მაშ კატლეტი სულ არ იქნება—ამოიხვნეშა ერთმა ძალზე მშიერმა მოქალაქემ.

— კატლეტს, ბატონო ხორცი რათ უნდა— უბასუხა ლაქიამ—კატლეტს ქართობილისაგან ვა-კეთებთ.

#### ღია სიკითხი.

— როგორაა, ლევან, საქმე?—კითხა მოუ-რავმა გამგეობის წევრს.

— ცუდათ, ხორცი მაინც არ არის. და ლე-ვანმა აუხსნა მოურავს ყასბების კომბინაცია.

— უნდა როგორმე სხვა გზა გამოვძებნოთ, მოაწვიეთ გამგეობის სხდომა.

და გამგეობის თავითურთ შეუდგა ახალ ზო-მაზე ფიქრს.

დღესაც ფიქრობს ქალაქის გამგეობ, ახალ ზომის გამოახვავზე, ხოლო ხორცის საკითხი ისეე ღიათ არის და მოქალაქენი უხორცოთ.

გრ. სლუჩანინი

### „პ ა ტ რ ი თ ტ ი“

(ველასტისთვის)

ველისციხეს მოველინა  
შვილი ახალ-სოფელელ დედლისა;  
საქართველოს „ორგულთ“ მისგან  
გშინიათ, ვით კრავს მგლისა.

დაშნაკელვს ემტერება,  
— (თვით აქარბებს ვეშაბელსა)  
თუ წააწყდა ტერ-სტეფანოვს,  
ლორივით გამოსკრის ყელსა.

ჯერჯერობით ველისციხის  
დაშნაკელვს ებრძვის ცხარეთ.  
შიშით, თურმე, ვაღარშაკა  
ველარ გამოსულა ვარეთ.

ტერ-მოსესოვს ხომ სისხლს უშრობს  
მოაბეზრა საწყალს თავი,  
სულ შხამათ ამოადინა  
კოლმერატივის ფლაგი.

საქართველოს „ეროვულ“ შეიღს  
ვერ აშინებს ვერაუფრი;  
„ანტერქაბე“ ტყვედ შეიპყრო  
— კომუნისტების „ლიდერი“

ან სამშობლოს ყველა მტრები  
მის წინაშე ქედს იხრან...  
თუ დასვლთაც თავს არ აცნობს,  
მაშ რის „პატრიოტი“ ჰქვიან.

და, აჰა, დღეს დასვლესაც  
ებრძვის, როგორც ზვადი ლომი...  
მოშავალი დავანახვებს,  
თუ რით ვათავებება ომი.

7 თებერვ. 1921 წ.

ჯიბილა

# ქ. გოჩის სახალხო უნივერსიტეტს

გორი წინათ

დიდი ხანია გორი არსებობს...  
დიდი ხანია, რაც ის ქალაქობს;  
ინტელიგენტი ან ფუქსაუბრობს,  
ღვინოსა სევას, ან კარტსა ხაშაშობს

დიდი ხანია, გორი არსებობს  
დიდი ხანია გორი ქალაქობს  
ჰკითხეთ იმ ციხეს, რითაც გორელი  
მულამ თავს იქებს, მულამ ამაყობს.

გორი მარტო, სცვლის ნაწარმოებსა:  
სოფლის ქონებას, ბაზარს უფარდებს,  
და ორის მხრიდან შემოტანილი  
საქონლით თითონ საზღოს იმზადებს.

რათ უნდა იმას: ან ლექციები,  
საღამოს სკოლა, წარმოდგენები,  
მას ურჩევნიან - ცირკი, კლოუნი  
იქ დაისვენებს ნაქვიფები.

კოდნის ტაძარი რომელიც გორში  
ოთხი წლის წინათ გახსნეს გმირებმა  
მუცელს გადაჰყვა უზიარებლად,  
ველარ უშველეს, მას ეჭიმებმა.

წარმოდგენები სახალხო, გახსოვთ,  
სადგურის ახლოს იმართებოდა?...  
თურმე ნუ იტყვი: სცენის მოყვარეთ  
ქირი შეჰყრიათ, რიგ, რიგ კვდებოდა.

გორი ესლა!

გორი კვლავ აღსდგა,  
გორი განახლდა,  
ვრობის სხივი,  
ყველგან გადასწვდა.  
გამოიღვიძა მძინარე გორმა  
და ნაბიჯები წინ, კვლავ გადასდგა.

გორი აღსდგა, და ახმაურდა,  
კულტურულ საქმეს მოჰკიდა ხელი.  
იმას გვერდში ჰყავს გორის ერობა  
შუქ მფენ ვარსკლავი, მათი მნათელი.

ერობა ანთებს, სინათლის კოცონს,  
მასრაც მის გვერდში შეკრებილია  
ყველგანა სწვდება მისი სინათლე  
ანათებს იქით საცა ბნელია.

კვლავ მოიკრიფა, ძალი და ღონე  
მაგრამ წიხლი ჰკრა. ბნელს სამყაროსა  
შეანგრია და რა თვალი მოჰკრა  
თავისუფალსა საქართველოსა.

მაშ მიულოცოთ, გორსა სინათლე  
უნივერსიტეტის კარს გაღება...  
მრავალ ჟაშიერ იყოს იმათთან,  
ვიც ამ საქმესა წინ გაუხდებდა

გიორგი ჯაბაური

## ეტო ირუნდა.

- ააა, ვანიჩქა გამარჯობა!
- ზღრავსტყუი დარაგოი...
- როდის ჩამოხვედი ეაცო?
- ტოლკო, ჩტო პრივხალ,...
- სხვა, რა ამბავია ბაქოში? ამბობენ, იქ აჯანყება იყო ნუ თუ მართალია ეს?
- ჩტო ტი, ეტო პრავაკაცია! მენშევიკოვ, ეტო ლოყ...
- ნუ თუ არაფერი არ ყოფილა?
- უვერიაიუ ტები... არაფერი ზავის მსგავსი... მართალია ადგილობრივ მცხოვრებთა და წითელ ჯარს შორის პატარ-პატარა შეტაკებები მოხდა, დაჭრილ-დახოცილებიც არიან ორივე მხრით, მაგრამ ეტო ირუნდა!..
- სულიერი განწყობილება როგორია ჩვენი ჯარისა, ფრონტიდან გარბიანო, სიმართლეა?

— ნიჩევი პადობნაო... პროვოკაცია ტოყე... თუმცა წინანდლები თავისთავად წაყიდნენ ფრონტიდან, მაგრამ იხ ზამენილი ნოვამი... ტაქ ჩტო ეტო ტოყე ირუნდა...

— ისპოლკომის წევრები, თათრები, საქართველოსთან ომის წინააღმდეგი არიანო, მართალია?

— ტოყე პროვოკაცია... ხატია ესტ ტაკოე ტეჩენიე, ნო ნაში ნასტაივიუტ, ესე, რომ ტოყე ირუნდა...

— სურსათ სანრავის საქმე როგორღა არის, შიმშილობაო, მართალია?

— ჩტო ტი, ნეუყელი ევრიშ ტი ეტომუ? პური ჩემო ძმაო, რომელ სახელმწიფოს არ აკლია ახლა, მართალია შექარი, პრინჯი, კარტოფილი და კომბოსტო არ იშოვება, პურისაც დიდი ნაკლებობაა, მაგრამ, პო მოემუ ეტო ტოყე ირუნდა.

— საქართველოს ჯარი და გვარდია ჩვენ საზღვრებთან მდებრად სდგასო, მართალია ესე?

— კაკ ტებე სკაზატ? ნე დუმიიუ... ჰო, თუმცა ცნობა ასეთი გვაქვს: ამბობენ თურმე: ან დავიხსოვებით ან ჩვენს საზღვრებში მტერს არ შემოუშვებთო, თქვენი არა გვინდა რა მხოლოდ ჩვენსას კი უბრძოლველად არას დაგითმობთო... მაგრამ ჩიზუხა... ტოყე ირუნდა...

— ნეტ გალუბჩიკ... სნიმ შუტიტ ნელსია ყველაფერი შეიძლება აგრე იყოს როგორც ამბობ, მაგრამ ეტო ნე ირუნდა, ი ნე ჩიზუხა...

რალაც ძარცვის კვირა გამოაცხადესო, მაგის შესახებ რას იტყვი?

— დო ჩეგო დახოდით პოდლოსტ მენშევიკოვი!! რის ძარცვა, რის კვირა, ეტო ბილო სდელანო ვსიო, პო დეკრეტუ, პო ზაკონუ, შედგენილი იყო სია წინდაწინ ქონებისა და კანონიერის გზით ჩამოერთვა ყველას, და თუ ჯარის კაცებმა ცოტა გადააქარბეს, პრინომ ტუტ ბოლშევიზმ? ასე თუ ისე ეტო ტოყე ირუნდა...

სხვა შენ რაღას იტყვი ახალს, აქ, შიგნით რა ამბავია?

— აქ ცუდათაა საქმე, ისე დაგვეანტეს, როგორც უკრუხო წიწილები...

— მაშ... შიგნით... ვერაფერი ჯერ-ჯერობით ჰა?

— ჯერ-ჯერობით კი არა მგონი სამუდამოდაც...

— და... დელო პლოხოვატო...

— ა ესლი „ვატო“ სნიატ ტავდა სავესმ პლოხო...

რ. ჯიბილ.

**ბ ა თ ე შ ი**

(სხენა პავილიცნი)

**სტუმარი და მასპინძელი სპეკულიანტები**

**მასპინ.** — აქედგან რომ გავალთ, ჩემო ნიკო ფრანტო, — დრო სად გავატაროთ შე, სპეკულიანტო?

**სტუმარ.** — „ზოგჯერ თქმით-შავდების ზოგჯერაც სჯობს თქმაო“ მე შანსონეტებში ჩამწვარი ვარ ძმაო!! წავიდეთ შანტანში ოხრათ ვხარჯით ფული, მიყვარს შანსონეტა, შეხარხო შებული.

**მასპინ.** — რომ ზედ მეტი ყლაპვა შემციარებულყო, და პროსტიტუტკებიც ცოტა ყოფილიყო, ამიტომ ვაჭრობა ათ საათამდია; შანტანებს ბათუმში ბოქლომი ჰკიდია.

**სტუმარ.** — მაშ სხვა მოვიფიქროთ შუბლს მივიდეთ ხელი...

**მასპინ.** — ჰო, მართლა, კარგია თეატრი „პელ-მელი“. ანდა მოიცადე! მე რა მომავონდა: გახსოვს გამყრელიძეს აქ რომ ცირკი ჰქონდა? — იმ ცირკში ამ ბოლოს არცინ დადიოდა, გამყრელიძეც ჯავრით უსაზღვროთ სტიროდა. მაგრამ დღეს მის ცირკში ქილაობს ქალები, უკეთესს ვერაფერს ვერ ნახავს თვალეში. თეატრში ვინ წაეა არ იცი შენ განა დიდი და პატარა ცირკშია ქვეყანა!!

**სტუმარ.** — წავიდეთ-წავიდეთ შენ გენაცვალეში, მიყვარს მე კიდილი მიყვარს მე ქალები.

იხკანდერ.

**ვ ა ი უ ყ ი ს ს ა ზ ე**

**გიგო** — გამარჯობა დათო, კაცო ე რა არი, რომ აღარ გვეშვება წყეული ზამთარი!  
**დათო** — გაგიმარჯოს გიგო, მეც ზამთარზე ვსტირი, სახლიდან გაფრბივარ, როგორც დესერტირი.  
**გიგო** — ველარც „დეიურემ“ ველარ მანუგეშა, თვალით არ მინახავს ამ ზამთარში შეშა.  
**დათო** — მართლა „დეიურე“ ამიხსენი კარგა, რათ გამოგვადგება, რაში უფრო ვარგა.  
**გიგო** — „დეიურე“ ძმაო მაზალო რამ არი, მისი მომტანია გვარდია და ჯარი.  
**დათო** — რალაც კარგი არის მეც მოგვარი ყური, მაგრამ შენ მითხარი, თუ მოგვივა პური.  
**გიგო** — ამბობენ მოგვცემსო თეთრ, პურს, არგენტინა, მაგრამ მის მოსვლამდე აფერი გეტყინა.  
**დათო** — კაცო რა გახუმრებს, მე არ მეცივნება, ჯავრით მთელი ღამე აღარ მეძინება.  
**გიგო** — ეგ სიძვირე ძმაო ბარემ მეც მალონებს, ჰადის საყიდელსაც ვერ ვმოწინილობ ბონებს.  
**დათო** — სანამდი ვიდარდო, სანამდი ვიგლოვო, მე ქალაქი ძმაო უნდა მივატოვო.  
**გიგო** — კარგა გიფიქრია, მეც მომიდის აზრში, მოდი გადავსახლდეთ ერთად ყარაიზში.  
**დათო** — დამიკარი ხელი, ერთად ეხნათ და ვთესოთ, თოხები მოვიზიროთ, ნამგლები გავლესოთ.  
**გიგო** — ჩვენ მოგვივა პური, ცერცვი, ქართობილი, შევიქნებთ ძმაო, ბედით კმაყოფილი.  
**დათო** — მაშ რა მიწაა აქა, ლამის ჯავრით გავხმე, მაგრამ ჩემი ცოლი თუ ვერ დავითანხმე?

კინამო.

# ბათუმელი სპეკულიანტი.



— მე შესძის სხვადგურ გართულებია ქვათი ფეხანებში და ვეუდებია ამაში მთი კადეტ გადავჭარბო. შავრამ რაღაც გამოფენებზე, რომ დადიან და სურათების ფაღვლაბენ ეს კი მე არც შესძის და არც შემფურის დამშეულ ქვეყნის კრია კუფს შე. დას.

## „მ შ მ ა კ ი ს მ ა თ რ ა ს ი“

თვეში ღირს 400 მან., ცბლეუ ნომერი უგვლგან 100 მან.

ქერნალში დაიბეჭდება **გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი**

რედაქციაში შეიძლება შემუნა დღემდე გამოხული ნომრების. სეჯის მომწერ-  
ლებში ფული შემდეგ მინამართით უხდა გამოვზავნონ: თფილისი, რუსთაველის პროს-  
პექტი, № 24. ეშმაჯის მათრასისხარვის. რედაქცია და კანტორა ღიავ 10—2 საათამდე.



J 934  
1919-21